შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი **03 ივლისი 2026 წ.**

ბრძანება № 86-26

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 01 ივლისს №85-26 ბრძანებით შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (#1-26; 02.07.2026) და შუამდგომლობის (N107; 03.07.2026) საფუძველზე, უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.19 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების" მე-9 მუხლის 9.10 ქვეპუნქტის (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 21 დეკემბერი №09-22 საოქმო გადაწყვეტილებით), „უმაღლესი განათლების შესახებ" 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 29 მაისის N75-26 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსისა და 2026 წლის 02 ივლისის (ოქმი №1-26) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე:
   1.1. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური ნიშნით პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მიმართულებით არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ნანი მანველიშვილი - აფილირების პირობით;
   1.2. სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური ნიშნით დიდი მონაცემების საბანკო და საფინანსო სამართლის მიმართულებით არჩეულ იქნეს ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი - აფილირების პირობით.
2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრული ცვლილებების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ასახვა.
3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ციცინო ხითარიშვილი).
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი **აკაკი ჭელიძე**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, ქ. ქუთათელაძის ქ.№3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242

info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

Scanned with CamScanner